

სენსორული ინტეგრაციის პროგრამის გავლენა დასწავლის
პროდუქტულობაზე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

თამარ გვენეტაძე

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული
პროფესორი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2016

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია სენსორული ინტეგრაციის პრობლემები, რაც მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევს მათ ყოველდღიურ ფუნქციონირებაში. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს კავშირის დადგენას სენსორული ინტეგრაციის პროგრამასა და დასწავლის პროდუქტულობას შორის. კვლევა განხორციელდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებში, რომელთაც უტარდებოდა ქცევითი თერაპია და მათი ნაწილი დამატებით იღებს სენსორული ინტეგრაციის პროგრამის სერვისს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-მა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვმა. მათგან 10 იყო ისეთი, ვინც მხოლოდ ქცევითი თერაპიის მომსახურებას იღებს და მიუხედავად სენსორული საჭიროებისა არ უტარდება სენსორული ინტეგრაციის პროგრამა და 10 - ვინც ქცევითთან ერთად იღებს სენსორული ინტეგრაციის პროგრამის სერვისსაც. შეფასება განხორციელდა შემდეგი ინსტრუმენტების საშუალებით: The infant / toddlers sensory profile (ITSP) და The Autism Spectrum Rating Scales (ASRS). კითხვარებიდან მიღებული ინფორმაციის, პროგრამული პროფილებისა და სერვისების მიღების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მოხდა ბავშვების გადანაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში და ამ ჯგუფების მიხედვით შემოწმდა დასწავლის საშუალო დრო/სესიების საშუალო რაოდენობა, ამ დროის განსაზღვრა ასევე მოხდა სენსორული ინტეგრაციის პროგრამის დაწყებამდე იმ ბავშვებში, რომლებიც ამ სერვისის ამჟამად იღებენ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სენსორული ინტეგრაციის პროგრამა გავლენას ახდენს დასწავლის პროდუქტულობაზე, მეტიც ზრდის მის პროდუქტულობას, რასაც ადასტურებს უნარების გამასტერებისთვის საჭირო გაცილებით ნაკლები დრო იმ ბავშვებისთვის, რომლებიც იღებენ სენსორული ინტეგრაციის პროგრამის სერვისს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სენსორული ინტეგრაცია, აუტიზმის სპექტრის დარღვევა, ქცევითი თერაპია, სტერეოტიპული მოძრაობები.

Abstract

Autism spectrum disorders are common for children with sensory integration problems, which significantly disrupted their daily functioning. This study aims to establish the connection between sensory integration programs and learning productivity. The survey was carried out in children with autism spectrum disorder. They are being carried out behavioral therapy. A part of them are additionally receiving sensory integration program service. Twenty children with autism spectrum disorders participated in the survey. There were ten of them who receive only services in behavioral therapy. Despite the sensory needs, they have not been subjected to sensory integration program and there were ten of them who receive sensory integration program service with behavioral service. Evaluation was carried out by means of the following instruments: The infant/toddles sensory profile (ITSP) and the Autism Spectrum Rating Scales (ASRS). According to the information received by questionnaire, therapeutic activity, program profiles and duration of service, there have been allocation of children in the experimental and control groups. In accordance with these groups was checked a mean time of learning/average number of the sessions. Determination of this time was carried out before starting of sensory integration program in those children, which are being receiving this service at present. The survey revealed that sensory integration program affects the learning Productivity, moreover, it increases its productivity, what evidenced much less time required for learning skills with the children, who receive sensory integration program service.

Key words: Sensory Integration, Autism spectrum disorders, Behavioral therapy, Stereotypical movements.